ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5106451

ნომერი: AR1774256

თარიღი : 15.09.2020

გაცემის თარიღი : 17.09.2020

გაცნობის თარიღი : 15.09.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა, N 23;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ფურცხვანიძე პ/ნ 01009011214
- ქ. თბილისი, იყალთოს 35ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს 2020 წლის 15 სექტემბრის AR1774256 ელექტრონულ განცხადებას, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-დიდი ლილო, სოფელი წინაუბანი, იალნოს ქ. № 23-ში, შპს "პკლ ეკო სოლუშენი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე წყლის ღია რეზერვუარის (ტბორის) მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცემას.
პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102–ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზეც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სამსახურმა განცხადებაში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით უკვე იმსჯელა და პასუხი გეცნობათ სამსახურის 10.09.2020 წლის № 5099373 გადაწყვეტილებით, ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება ახლად აღმოჩენილი ან/და ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული წარმოების განახლების საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ქ. თბილისში, სექტორი-დიდი ლილო, სოფელი წინაუბანი, იალნოს ქ. № 23-ში, შპს "პკლ ეკო სოლუშენი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე წყლის ღია რეზერვუარის (ტბორის) მოწყობის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.